პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 247 (13631) | შაბათი, 29 ოქტომბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

**გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანამეგზურსა და რეზერვს!**

სკკპ ც. კ-ის საოქტომბრო მოწოდებებიდან

# ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ თარიღს — ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. ამ დღესასწაულს ყირგიზ ხალხთან ერთად აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხი.

ყირგიზეთის რესპუბლიკას 40 წლისთავი საბჭოთა ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს, რაც სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით არის გამოწვეული. ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები ცდილობენ ვადამდე შესრულონ ყრილობის დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თამამად ამორციელებენ ეკონომიურ რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესებას. სახელოვანი წლისთავი აღინიშნება მსოფლიო ისტორიის ორი უდიდესი თარიღის — საბჭოთა სახელმწიფოს ნახევრად საუუნის იუბილესა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით ყირგიზეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბრძოლისა და შრომის შესანიშნავი გზა განვლეს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო მეშვიდეთა და კაპიტალისტთა, ბაებისა და მანაპების ხელისუფლება და სამუდამოდ გაათავისუფლა ყირგიზი ხალხი ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან. ყირგიზი ხალხი სოციალიზმის გზას დადგა და დიდ ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს, თანასწორუფლებიანობასა და ბედნიერებას მიაღწია, მოიპოვა თავისი ეროვნული სოციალისტური სახელმწიფოებრიობა. საბჭოთა ყირგიზეთში სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული მაგალითით დადასტურდა, რომ სწორია ლენინის დებულება — „მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს შეეძლოთ გადავიდნენ საბჭოთა წყობილებაზე და განვითარების გარკვეული საფეხურების შემდეგ — კომუნიზმზე, ისე, რომ არ გაიარონ განვითარების კაპიტალისტური სტადია“.

მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობს ყირგიზი ხალხის დიდი წარმატებებით, რომელთაც ისტორიულად მოკლე ვადაში შექმნა დიდად განვითარებული მრეწველობა და სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების თავდადებული შრომის მეოხებით ყირგიზეთი ეერცხლისწყლის, სტიბიუმის, ელექტროძრავებისა და სამედიცინო აპარატების, ფიზიკური და ელექტრონული ხელსაწყოების, ლითონსაჭრელი ჩარხებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია ჩვენს ქვეყანაში.

განსაცვიფრებელი ცვლილებანი მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. სამომთაბარო შეცხოველეობისა და ირიგაციული მიწათმოქმედების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი სოციალისტური მეურნეობანი — კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ხორცის, რძის, მატყლის, ბამბის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდებაში, ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის საბალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით წარმოიქმნა კაპიტალური მშენებლობა. მარტო განვლილ შვიდწლეულში აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ორასამდე სამრეწველო საწარმო, საამქრო და ენერგეტიკული ობიექტი, მშრომელებმა მიიღეს ბევრი საცხოვრებელი სახლი, კულტურული, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

სოციალიზმმა ძირეული ცვლილებები შეიტანა ყირგიზეთის მშრომელთა ყოფაცხოვრებასა და სულიერ სამყაროში, უზრუნველყო მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე, ხელი შეუწყო ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს სიღატაკე და უნერგურობა, ამჟამად რესპუბლიკის 44 უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში სწავლობს 60 ათასზე მეტი სტუდენტი, საზოგადოების თანასწორუფლებიანი და აქტიური წევრი გახდა წარსულში დავიწყებული ყირგიზი ქალი.

ყირგიზი ხალხის თვალსაჩინო მიღწევები დამაჯერებლად მოწმობენ პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის დიად ძალას, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ცხოვრებისეულობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ყირგიზეთის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

**გაუმარჯოს ორგზის ლენინის ორდენოსან ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და მის შრომისმოყვარე ხალხს!**

**გაუმარჯოს ყირგიზეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!**

**გაუმარჯოს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა შორის ერთობა და ძმური მეგობრობა!**

**კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## საბჭოთა ხელმძღვანელების საპასუხო მომავალი ვიზიტები საფრანგეთში

საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი [illegible] ვია საფრანგეთში. ამ მიწვევას ისინი მადლობით დათანხმდნენ.

ამასთან დაკავშირებით ორი მთავრობა შეთანხმდა, რომ ამა წლის დეკემბრის პირველ ნახევარში საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრება ა. ნ. კოსიგინი.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტები საფრანგეთში გაიმართება 1967 წლის განმავლობაში. ამ ვიზიტების თარიღები დამატებით დაზუსტდება.

## მაროკოს მეფე ჰასან II მოსკოვიდან გაემგზავრა

**მოსკოვი**, 28 ოქტომბერი, (საკუთარი). დღეს მოსკოვიდან გაემგზავრა მაროკოს მეფე ჰასან II, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეულით.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, სამპატიო სტუმარი გაეცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. ს. პოლიანსკიმ და სხვებმა.

ჰასან II ესტუმრება ლენინგრადს, შემდეგ კი სამშობლოში გაემგზავრება.

**ლენინგრადი**, 28 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს აქ მოსკოვიდან ჩამოვიდა მაროკოს მეფე ჰასან II.

**ლენინგრადი**, 28 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს ლენინგრადიდან სამშობლოში გაემგზავრა მაროკოს მეფე ჰასან II, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეულით.

## გ. კ. ორჯონიკიძის მემორიალური დაფა

**მოსკოვი**, 27 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). ბეერი საბჭოთა ადამიანისათვის კარგად არის ცნობილი უზარმაზარი შენობა ნოგინის მოედანზე. აქ შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა მძიმე ინდუსტრიის კომანდარმი გ. კ. ორჯონიკიძე. დღეს ამ შენობის მთავარ ფასადზე გაიხსნა მემორიალური დაფა.

მიტინგზე, მოვიდნენ მოსკოველები, სტერგო ორჯონიკიძის შვილი ეთერი, ძმა კონსტანტინე, ძველი ბოლშევიკები, რომლებიც კარგად იცნობდნენ სერგოს.

მიტინგი გახსნა პარტიის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. ი. შაბანოვმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში სერგო ორჯონიკიძე ცოცხლობს როგორც მგზნებარე რევოლუციონერი, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. გაიხსნა სახელმწიფო ჰიმნი და დაფას ხსნიან თეთრ საბურველს. შავ გაბრიალებულ გრანიტზე არის გ. კ. ორჯონიკიძის ბარელიეფი და სიტყვები: „ამ შენობაში 1930 წლიდან 1937 წლამდე მუშაობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა ინდუსტრიის უდიდესი ორგანიზატორი, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის საბალხო კომისარი გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე“.

მიტინგზე გამოვიდნენ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ფ. ბორისოვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ლ. მ. კულინი, კალინინის სახელობის ტემბის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ო. ა. ტერეშოვი.

# საიუბილეო ზეიმი ყირგიზეთში

**ფრუნზე**, 28 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). ფართოდ და სახალისოდ აღნიშნავს ყირგიზეთი თავის დიდ დღესასწაულს — ყირგიზეთის სს რესპუბლიკისა და ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

დღეს დღის 2 საათზე რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ღირსშესანიშნავ მოვლენას ყირგიზი ხალხის ცხოვრებაში.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ნ. შელეპინს, როცა იგი სხდომის პრეზიდიუმში შემოვიდა.

ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში დრაჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

რესპუბლიკისა და ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის სახელოვანი იუბილეს შესახებ მოხსენება გააკეთა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. უსუბალიევმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ა. ნ. შელეპინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის დავალებით მან გულითადად მიულოცა სახეიმო სხდომის მონაწილეებს ეს მათი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს შესანიშნავი დღესასწაული. — ყირგიზეთის სს რესპუბლიკისა და ყირგიზეთის კომპარტიის 40 წლისთავი.

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის შემქმნელი, ოქტ. ა. ნ. შელეპინმა, ძირითული შემომრწუნებითი პუნქტი იყო ყირგიზი ხალხის ისტორიაში. იგი მოსაწვევებია ყირგიზი ხალხის ეროვნული სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას, ამასთან ყოფილ მეფის რუსეთის ჩამორჩენილ მხარეს დაუსახა ერთადერთი სამეული და სწორი გზა გარდაქმნილიყო აყვავებულ თანამედროვე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელიც თანასწორია თანასწორთა შორის ერთა დიდ თანამეგობრობაში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ყირგიზეთის რესპუბლიკისა და ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის შექმნა ამავე დროს მთელი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა კომუნისტისა და მშრომელისათვის ინტერნაციონალური ზეიმიცაა. ყირგიზეთის რესპუბლიკისა და ყირგიზეთის კომპარტიის 40 წლისთავის ზეიმი კიდევ ერთი მაგალითი და დამაჯერებელი დადასტურება და განსაზიერებაა სსრ კავშირის ხალხთა მარადიული, უწყვეტი მეგობრობისა და ძმობისა, ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობისა და გამარჯვებისა.

როცა ფურცლავ ყირგიზი ხალხის ოქტომბრამდელი ისტორიული წარსულის ფურცლებს განაგრძო შემდეგ ორატორმა, ხედავ, რომ ეს ხანგრძლივი და ეკლიანი გზა აღიარეს იყო ტანჯვითა და სიღატაკით. მორწყული იყო სისხლით, არაადამიანური შრომის ოფლითა და ატანჯული ტანჯვისა და ბორტების ცრემლით. მაგრამ ტანჯვისა და ჩაგვრის ამ უაზეესი სიბნელეშიც კი ყირგიზი ხალხი არ კარგავდა ნათელი მომავლის ოცნებას. და იგი მართალი გამოდგა: დადგა ასეთი დრო, რას დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ხოლო ის გოლიათი, რომელსაც ყირგიზი ხალხი მიიჩნევდა ბედნიერების ქვეყანაში, იყო თვით ხალხი, ჩვენი კომუნისტური პარტია, რუსეთისა და სხვა ერების პროლეტარიატი და მშრომელთა მასები, მათი დიდი ბელადი და მასწავლებელი ლენინი.

ამაში უდიდესი როლი შეასრულა ყირგიზეთის რუსეთთან ნებაყოფლობითმა შეერთებამ. ეს წელზე მეტი ხნის წინათ ყირგიზი ხალხის წინამპრძოლა პოლიტიკური სიბრძნე და გამჭრიახობა გამოიჩინეს, როცა გადაწყვეტეს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. ამან ყირგიზი ხალხი გადაარჩინა უცხოელ დამპყრობთა მიერ დამონებისა და ულმობელ საფრთხეს.

ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას, რომ შესაძლებელია ჩამორჩენილი ხალხი მიაღწიოს ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით გადაგიდნენ სოციალისტურ წყობილებაზე და განვითარების გარკვეული საფეხურების შემდეგ — კომუნიზმზე, ისე, რომ არ გაიარონ განვითარების კაპიტალისტური სტადია ნამდვილად, კლასიკურად განხორციელდა ყირგიზეთის სს რესპუბლიკასა და მთელ რიგ სხვა ნოყაკაშირ რესპუბლიკებში, აღნიშნავს ა. ნ. შელეპინი. ამ მხრივაც ყირგიზი ხალხის ბრძოლის გამოცდილებას სოციალიზმის მშენებლობისათვის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს როგორც ერთი ამ მაგალითისა და ნიმუშის იმ განთავისუფლებული ხალხებისათვის, რომლებმაც ახლა თავი დაალწიეს იმპერიალიზმის ჩაგრას და, დამაზეს რა საძულველი კაპიტალისტური წყობილება, ცდილობენ დაადგენენ სოციალისტური განვითარების გზას.

ახლანდელი ოქტომბრის ყირგიზეთი ეს არის დიდად განვითარებული მრეწველობა, ამ ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითადი ტოტი. ეს ეს ... ... ...

# დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველას და თვითეულის საქმეა

## საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

27 ოქტომბერს გაიმართა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენება „დამნაშავეობის მდგომარეობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა.

ყველასათვის ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა განსახილველად ამ კრებაზე, თქვა ამხ. როდიონოვმა. საქმე, რა თქმა უნდა, ის არ როდია, თითქოს ჩვენს რესპუბლიკაში რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყოს, თითქოს ჩვენთან განსაკუთრებით ცუდად იყოს დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. სრულებითაც არა. მიზეზები, რომელთა გამო სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ განსახილველ პრობლემას, სავსებით ეთხვევა მოტივებსა და მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს პარტიისა და მთავრობის 1966 წლის 23 ივლისის დამნაშავეობის გადაწყვეტილებათა მიღებაში — ეს ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა სწორედ ახალი ადამიანის აღზრდა. საბჭოთა ადამიანმა, რომელიც წარმატებით აგრძელებს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელი მებრძოლი თაობის რევოლუციურ ტრადიციებს, წარმატებით ააშენა სოციალიზმი, გაიმარჯვა ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, დაიცვა რევოლუციის დიადი მონაპოვრები და ახლა ისტორიაში პირველად წარმატებით აშენებს კომუნიზმს. სოციალიზმის გამარჯვებით უდიდესი გადატრიალება მოხდა ადამიანთა შეგნებაში. ეს არის პარტიის გიგანტური, დაუცხრომელი საქმიანობის შედეგი, და, აქვე უნდა ითქვას, ამაოდ ცდილობენ ზოგიერთნი, მათ შორის ტარსისის, დანიელისა და მისთანათა ტიპის გარეწრები ეჭვს ქვეშ დააყენონ ან ხაზი გადაუსვან ამ საქმიანობის კეთილსაყოფიერ, განსაცვიფრებელ შედეგებს. ჩვენ ვამაყობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უსაზღვროდ გაიზარდა საბჭოთა ადამიანი და ახლა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის წინ, მსოფლიოს აოცებს თავისი მაღალი მორალური თვისებებით, ახალი გმირული საქმეებით სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ეს ფაქტი, ეს ფაქტორი, ეს ფაქტორი ჩვენს ცხოვრებაში, ეს ფაქტორი — ადამიანი, ადამიანი, ადამიანი — ეს ერთ-ერთი ფუძე, ეს ერთ-ერთი ფუძე, ეს ერთ-ერთი ფუძე — ეს ერთ-ერთი ფუძე ... ეს ... ეს ... ეს

# საბჭოთა კავშირ-მაროკოს შეთანხმება

27 ოქტომბერს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-მაროკოს შეთანხმებებს. სსრ კავშირის მთავრობის რწმენებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და მაროკოს სამეფო მთავრობის რწმენებით მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ შერკაუიმ ხელი მოაწერეს შემდეგ შეთანხმებებს: სსრ კავშირისა და მაროკოს სამეფოს კულტურული თანამშრომლობის, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის რწმენებით სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და მაროკოს სამეფოს მთავრობის რწმენებით მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ შერკაუიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-მაროკოს შეთანხმებათა ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, მეფე ჰასან II და სხვა მაროკოელი სტუმრები. (საკდესი).

# ფართო ეკონომიური თანამშრომლობის პროგრამა

## საბჭოთა კავშირსა და მაროკოს შორის შეთანხმების დადების გამო

შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მაროკომ 27 ოქტომბერს დადო საბჭოთა კავშირთან, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილოეთ აფრიკის ამ ქვეყნისათვის, განაცხადა საკდესის კორესპონდენტი. ბერსენევთან საუბარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. კულეკმა. საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით შეიქმნება მაროკოს მრეწველობის ახალი დარგები, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მის ეკონომიურ აღმავლობას. კასაბლანკის ლიტონ-დასამუშავებელი კომბინატი და ზოგიერთი სხვა ობიექტი, რომელთა აგებაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირი, მაროკოს ინდუსტრიის პირმშოები იქნება.

კასაბლანკის საწარმოები, მაგალითად, საწარმოებენ ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო იარაღსა და მანქანას, რომლებიც მაროკოს საზღვარგარეთიდან შეაქვს. გარდა ამისა, ეს საწარმოები გამოუშვებენ სა-

## სტუმრად ალჟირში

ალჟირის რევოლუციის მე-12 წლისთავის დღესასწაულზე 28 ოქტომბერს მოსკოვიდან გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი დ. ა. კუნაევი (დელეგაციის მეთაური) და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. პალეკი. დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოკი.

• • •

იმავე დღეს ალჟირში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ს. მოსკალენკო მეთაურობს. (საკდესი).

## ინდოეთ-ეგვიპტის ერთობლივი კომუნიკე

დელი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა პრეზიდენტ ნასერის ორი დღის სახელმწიფო ვიზიტი ინდოეთში.

კომუნიკეში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ორივე მხარე შეთანხმდა მიმდინარე წლის დეკემბერში მოეწყოს დელიში ინდოეთისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრების შეხვედრა, რომელიც განიხილავს ორი ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებს და შეისწავლის ერთობლივ სამრეწველო საწარმოთა ტექნოლოგიისა და შექმნის დარგში გაერთიანებულ ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობას.

პრეზიდენტი ნასერი და პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, აღნიშნულია კომუნიკეში, „დიდად კმაყოფილი არიან ორი ქვეყნის სულ უფრო მზარდი მეგობრობისა და ურთიერთგაგების გამო და გამოიქვამ მტკიცე რწმენა, რომ ეს მეგობრობა და ურთიერთგაგება წარმატებით განვითარდება და განმტკიცდება მიუხედრობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის განმტკიცების საქმეში ქვეყნების აქტიური თანამშრომლობის საერთო პოლიტიკის ინტერესებისათვის.“



1966 წლის დეკემბერში საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ღირსსახსოვარ თარიღს — მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების 25 წლისთავს.

გამომცემლობა „მოსკოვსკი რაბოჩი“ უშუალ სკკპ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ წიგნს „მოსკოვისათვის ბრძოლა“, იგი დაწერეს საბჭოთა დედაქალაქის კედლებთან დიადი ბრძოლის უშუალო მონაწილეებმა, სახელგანთქმულმა მხედართმთავრებმა, გენერლებმა და ოფიცრებმა, მრისხანე საბრძოლო იარაღის შემქმნელებმა, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა მუშაკებმა.

ახალი ამბების საააგენტო გამომცემლობა „მოსკოვსკი რაბოჩის“ ნებართვით ბეჭდავს გადამდგარ გენერალ-პოლკოვნიკ პავლე არტემიევის სტატიის შემოკლებულ ვარიანტს, მთელი სტატია გამოქვეყნდება წიგნში „მოსკოვისათვის ბრძოლა“.

# მოსკოვმა გაძლო, მოსკოვმა გაიმარჯვა

### პავლე არტემიევი,
### გადამდგარი გენერალ-პოლკოვნიკი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ყოფილი სარდალი,

...სამშენებლო სამუშაოები თავდაცვის უშუალოდ მოსკოვის ზონაში ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიშალა. ერთი თვის განმავლობაში მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, დიასახლისები, მოხუცები და ახალგაზრდები, ჭვიმაში, თოვლქუაში, ყინვაში თავდაუზოგავად აშენებდნენ სიმაგრეებს მოსკოვთან. 250 ათასზე მეტმა მოსკოველმა მიიღო მონაწილეობა ამ დაუვიწყარ ეპოპეაში.

თავდაცვის მოსკოვის ზონის შექმნის შესახებ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებასთან ერთად უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკმა მოეთხოვა ზღუდეზე მყოფი ჯარები დასავლეთის ფრონტის შემადგენლობაში გადასცა. ახალ ვითარებასთან და ახალ ამოცანებთან დაკავშირებით თავდაცვის მოეთხოვა ბაზის საფრონტო სამმართველო თავდაცვის მოსკოვის ზონას შტაბად გარდაქმნა. თავდაცვის მოსკოვის ზონის ჯარებისა და მშენებლობის ხელმძღვანელობა დაეკისრა მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შეეყვანილ იქნა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. პრონინი. შტაბის უფროსად რჩებოდა გენერალ-მაიორი ა. ი. კულიკოვი.

—მოსკოვის ზღუდეების დასაცავად ამ დროისთვისაც მოსკოვის განმაზონში ძალიან ცოტა ჯარები რჩებოდა. ახალი ნაწილებისა და შენაერთების შექმნა ის-ის იყო დაიწყო. რეალური ძალა, რომლის დაუყოვნებლივ გამოყენება შეიძლებოდა, იყო მოსკოველი მოსალისეთაგან შედგენილი 25 გამანადგურებელი ბატალიონი. გადაწყდა ისინი პოლკებად, ხოლო შემდეგ სამ დივიზიად შეეერთებინათ. მაგრამ ბატალიონების რიცხვი საკმარისი არ იყო სამი დივიზიის დასაკომპლექტებლად. თავდაცვის მოსკოვის ზონის სამხედრო საბჭომ სთხოვა მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციას მოეწყო მოხალისეთა დამატებითი ჩაწერა. ხუთი დღის განმავლობაში ჩაეწერა 12 ათასამდე კაცი — დედაქალაქის მუშები და მოსამსახურეები. ახლად ჩამოყალიბებული დივიზიების პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტს პარტიის წევრები შეადგენდნენ — ამ დივიზიებს ტყუილად როდი ეწოდა მოსკოვის კომუნისტური დივიზიები. კომუნისტური დივიზიებისა და ახლად შექმნილი საარტილერიო-სატყვიამფრქვევო ბატალიონების შეიარაღებისათვის მოსკოველებმა შეაკეთეს 263 ქვემეხი, 1600 დაზგის და 100 ხელის ტყვიამფრქვევი, შეაგროვეს და საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს 15 ათასზე მეტი შაშხანა.

19 ოქტომბერს საღამოს ა. ს. შჩერბაკოვი, ვ. პ. პრონინი და ამ სტრიქონების ავტორი გამოძახებულ იქნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომაზე. მოისმინა რა ჩვენი მოკლე ინფორმაციები 16-17 ოქტომბერს პანიკის შემთხვევების და დედაქალაქის მოსახლეობისა და საწარმოების არაორგანიზებული ევაკუაციის შედეგების ლიკვიდაციის შესახებ და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრთა მოსაზრებანი დედაქალაქის დაცვის ღონისძიებათა შესახებ, ი. ბ. სტალინმა იქვე უკარნახა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცნობილი დადგენილება მოსკოვსა და ახლომდებარე რაიონებში 20 ოქტომბრიდან საალყო წესებისა შემოღების შესახებ. დადგენილებაში გამოცხადებული იყო, რომ დედაქალაქის დაცვის ხელმძღვანელობა მოსკოვის დასავლეთით 100-120 კილომეტრზე მდებარე ზღუდეებზე დაეკისრა დასავლეთის ფრონტის სარდალს არმიის გენერალ გ. კ. ჟუკოვს. მოსკოვის გარნიზონის უფროსს ევალებოდა ქალაქის დაცვა ახლო მისადგომებზე. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოუწოდა მოსკოველებს მშვიდად ყოფილიყვნენ და გამოეჩინათ სიმტკიცე, გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ პანიკორებისა და დეზერტირების, ჯაშუშებისა და დივერსანტების წინააღმდეგ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას საალყო წესების შემოღების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოვში და მოსკოვის ოლქში დამყარდა რევოლუციური წესრიგი, მტკიცე სიმშვიდე.

დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავის დღის — წინ მოსკოვის დამცველებმა ნახევარკუნძულ ხანკოს დამცველთაგან მიიღეს ამაღელვებელი წერილი.

„ძმებო და დებო! — წერდნენ ისინი. — დგება ოქტომბრის დღესასწაული. ყუმბარების ზვიმისა და ტყვიის სეტყვის ქვეშ ჩვენ მთელ ქვეყანასთან ერთად ვიდღესასწაულებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავს. ძლიერი და მტკიცეა ჩვენი რწმენა მომავლისადმი, ურღვევია ჩვენი ერთგულება სამშობლოსადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი. ჩვენ ვისწავლეთ საფრთხისა და სიკვდილის არარად ჩაგდება. თვითეულმა ჩვენგანმა მტკიცედ გადაწყვეტა: — ან უნდა გავიმარჯვო, ან მოვკვდე. სიცოცხლე არად მიღირს, თუ არ იქნა გამარჯვება, თუ არ გვექნა თავისუფალი საბჭოთა მიწა-წყალი, არ გვექნა მშობლიური მოსკოვი! გამარჯვება ან სიკვდილი! — ასეთია ჩვენი ლოზუნგი. და ჩვენ მტკიცედ ვიცით: საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება!

მშობლიურო მოსკოვო, საყვარელო, დიდო დედაქალაქო! მტერი ვერ გათელავს შენს ქუჩებს, მტაცებლები ვერ გიპყრობენ კრემლის კედლებთან!“

ოლქის პოლიტიკურმა სამმართველომ ეს დოკუმენტი გაზეთ „კრასნი ვოინში“ გამოაქვეყნა. წერილი წაკითხულ იქნა თავდაცვის მოსკოვის ზონის ყველა ნაწილსა და ქვედანაყოფში. საპასუხო წერილში მოსკოვის ზონის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ფიცულობდნენ დაეცვათ მოსკოვი, მის მისადგომებზე გაეცამტვერებინათ ფაშისტთა დივიზიები. წერილი განხილულ იქნა თვითეულ ნაწილში, მას ხელი მოაწერა ყველა მებრძოლმა და მეთაურმა.

მოსკოვის შორეულ მისადგომებზე გაადგურებული ბრძოლა დაახლოებით ორ კვირას გრძელდებოდა. ბრძოლა უთანასწორო პირობებში წარმოებდა: ჰიტლერელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ ტანკებისა და ავიაციის მხრივ. მაგრამ სანქციათა ჯარები შეუთავარი თავდაცვითა და მრავალი კონტრიერიშით ქანცავდნენ მტერს, უდიდეს ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დიდი დანაკარგების ფასად ჰიტლერელებმა შეძლეს შეეღწიონ ბინათა ჯარები და წინ წამოწეულიყვნენ მოსკოვის მიმართულებით, დაეკავებინათ მოჟაისკი. ჩრდილოეთით მათ ხელთ იგდეს კალინინი. სამხრეთით კი ტულის ოლქის ფარგლებში შეეიდნენ. მაგრამ გერმანელ ფაშისტთა არმიებმა თავიანთ მიზნებს ვერ მიაღწიეს. მათ ვერ შეძლეს გაეტეხათ ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა.

მტრისათვის დაუძლეველ დაბრკოლებად იქცეოდა თავდაცვის მოსკოვის ზონა. ოქტომბრის დამლევისათვის მის გარეთა ნახევარკალზე თავდაცვა ეკავა მოსკოვის ოთხ დივიზიას, რომლებშიც 40 ათასზე მეტი კაცი შედიოდა. როგორც კი მოემზადებოდნენ, მოსკოვის ოლქის ზღუდეებზე გადიდნენ მოსკოვის სამხედრო ოლქში შედეგილი, აგრეთვე სხვა სამხედრო ოლქებიდან ჩამოსული საარტილერიო-სატყვიამფრქვევო ბატალიონები. გამოჩნდნენ პირველი შენაერთები ციმბირიდან. მთავარბანაკის ნებართვით თავდაცვის მოსკოვის ზონის შტაბი შეუდგა ზონის ოპერატიული რეზერვის — ჯარების ჯგუფის შექმნას პოლკოვნიკ ა. ი. ლიზიუკოვის მეთაურობით.

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, თავდაცვის მოსკოვის ზონის გამაგრების შესახებ მორიგი მოხსენება რომ მოისმინა, ი. ბ. სტალინი დაინტერესდა, ვაჭარებთ თუ არა მოვემზადოთ მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადისათვის ოქტომბრის რევოლუციის 24 წლისთავის აღსანიშნავად. მე გარემოება დავიმოწმე და ეჭვი გამოვთქვი ამ პარადის მოწყობის მიზანშეწონილობაში. გარდა ამისა, პარადში მონაწილეობა შეეძლო მხოლოდ ქვეითს ჯარს, რადგან საარტილერიო ნაწილები საცეცხლე პოზიციებზე იდგნენ, ტანკები კი საერთოდ არ იყო გარნიზონში.

ი. ბ. სტალინმა მიგვითითა, ჯეროვნად არ აფასებთ ამ ღონისძიების პოლიტიკურ მნიშვნელობასო, და გვიბრძანა: 7 ნოემბრის პარადი მოგვეწყო, მოგვეხსნა არტილერია მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. დ. იაკოვლევის დამბარებით, მოგვეხსნა ტანკებიც. გადაწყდა: პარადისათვის მზადების შესახებ არავის, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არ უნდა სცოდნოდა 6 ნოემბრის დღის ბოლომდე. პარადის მიღება დაეკისრა ს. მ. ბუდიონის. პარადის სარდლობა ღამეკისრა მე. გათვალისწინებული იყო ღონისძიებანი იმ შემთხვევისათვის, თუ პარადის დროს მოსკოვს დაესხმოდა მტრის ავიაცია.

ამ ლაპარაკის მეორე დღეს მე და ა. ს. შჩერბაკოვმა ცალცალკე დავუწყეთ გამოძახება იმ ნაწილების მეთაურებს, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ პარადში. მათ რიცხვში შედიოდნენ: რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის სასწავლებლის კურსანტთა ბატალიონი, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებელი, ნაწილები ერთ-ერთი მსროლელთა დივიზიისა, რომელიც იქმნებოდა უმთავრესად მოსკოვის და მოსკოვის ოლქის ახალწვეულთაგან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ძერჟინსკის სახელობის დივიზიის მსროლელთა და ცხენოსანთა პოლკები, ყოფილ წითელგვარდიელთა — ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეთა ბატალიონი, თავდაცვის მოსკოვის ზონის ორი საარტილერიო პოლკი, ორი სატანკო ბატალიონი მთავარბანაკის რეზერვიდან და ზოგიერთი სხვა ნაწილები. ჩვენ ვიუწყეთ მეთაურებს, რომ მოსკოველებს ძალიან უნდათ ნახონ ფრონტზე მიმავალი სამხედრო ნაწილები. ამიტომ ზონის სამხედრო საბჭო ვარაუდობს დაახლოებით ნოემბრის შუა რიცხვებში ყირიმის ხიდის რაიონში მოაწყოს მცირე სამხედრო პარადი. ვინაიდან დრო ძალიან მცირე რჩება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამწყობრო მომზადებასა და სრულას.

— თქვენ იცით, როგორც ეცდებით, ამხანაგებო, — ეუბნებოდა ა. ს. შჩერბაკოვი ნაწილების მეთაურებს.

6 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის 24 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის შემდეგ, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნებს გამოეცხადათ დრო ჯარების პარადის დაწყებისა წითელ მოედანზე. პარადის მონაწილე ნაწილების მეთაურებმა ეს შეიტყვეს 6 ნოემბერს 23 საათზე.

...7 ნოემბერი. მთელ წითელ მოედანზე მოსკოვრორეკის ხიდიდან ისტორიული მუზეუმის შენობამდე ჯარები დგანან. გარნიზონულან ახალგაზრდა და ბატალიონების სწორკუთხედები. ძლიერ ქარს ჰაერში აეკვნ გაეფინული მტვერი. დილის 8 საათია. მაცხოვრის კოშკის კარიდან ცხენით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი. ჩემი რაპორტი რომ მიიღო, მან ჩამოუარა პარადისათვის დაწყობილ ჯარებს და მიესალმა. შემდეგ პარადის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ი. ბ. სტალინმა.

დაიწყო ნაწილების საზეიმო მარში. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს ჩაუარეს კურსანტებმა, მოტორიზებულმა ქვეითმა ჯარმა, მხროლელთა ქვედანაყოფებმა, მეზღვაურთა ბატალიონებმა, მოსკოვის შეიარაღებულ მუშათა რაზმებმა, ჯარების მარშის დამთავრებისას წითელი მოედანი დაიკავეს ტანკებმა. პარადი ერთ საათზე ცოტა მეტ ხანს გრძელდებოდა. ბევრი სამხედრო ნაწილი წითელ მოედნიდან პირდაპირ ფრონტზე მიდიოდა.

მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო საბჭოთა ადამიანებზე, არამედ მსოფლიოს მთელ პროგრესულ ადამიანებზეც. იგი ადამიანებს უნერგავდა რწმენას, რომ მოსკოვი გაძლებდა, რომ მტერი დამარცხდებოდა.

დედაქალაქის მშრომელები გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ეწმაზადებოდნენ. ნოემბრის შუა რიცხვებისათვის თვით მოსკოვში და მის მისადგომებზე შექმნილ იქნა ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებანი (დანაღმული ველების ჩათვლელად) — 325 კილომეტრი, ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო დაბრკოლებანი — 256 კილომეტრი, 3700-ზე საცეცხლე წერტი, 37500 ლიბონის ჯოჯგნი.

ამ დროისათვის ჩვენი ძალები, რომლებიც მოსკოვს იცავდნენ, მნიშვნელოვნად გადიდდა.

იქმნებოდა პირობები კონტრშეტევაზე გადასვლისათვის.

პირველ შემოტევაში წარმატებას რომ ვერ მიაღწია, მტერმა ხელი არ აიღო ახალ ცდებზე ხელთ იგდო დედაქალაქი. ახალი შეტევა მოსკოვზე 15-16 ნოემბერს დაიწყო.

იმ დაძაბულ დღეებში მოსკოვის გარნიზონის მეომრებმა საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს დედაქალაქის დაცვაში.

17 ნოემბერს საღამოს მარშალმა ბ. მ. შაპოშნიკოვმა წინადადება მომცა თავდაცვის მოსკოვის ზონიდან გამომეყო ძალთა ნაწილი კლინის მისადგომების დასაფარავად. მეორე დღეს მოსკოვის საბჭოს ავტომანქანებით იქ გაიგზავნა საარტილერიო-სატყვიამფრქვევო რაზმი 1500 კაცის შემადგენლობით. 20 ნოემბერს იგი ჩაება მტერთან უთანასწორო ბრძოლაში კლინის მისადგომებზე. რაზმი სამი დღეღამის განმავლობაში აკავებდა მოწინააღმდეგის ჯარი ძალების შემოტევას. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰიტლერელებმა ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოუარეს კლინს, დიდი დანაკარგის შემდეგ რაზმმა დატოვა ქალაქი. მეორე დაახლოებით ასეთივე რაზმი 21 ნოემბერს გადაკვეთილ იქნა როგორც ვის დასაცავად და გმირულად იცავდა ქალაქს.

გმირულად იბრძოდნენ მთელი ნაწილები და ქვედანაყოფები. მედგრად იცავდნენ მოსკოვს რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა პოლკის მებრძოლები და მეთაურები. 24 ნოემბერს სვიტუხა-რაკოვო-კომაროვკა-კამენკის რაიონში კურსანტთა პოლკმა ენერგიული იერიშით გაარღვია გარშემორტყმის რკალი, გაანადგურა ჰიტლერელთა პოლკის შტაბი, მოსპო რამდენიმე ქვემეხი და ტყვიამფრქვევი და ამით ხელი შეუწყო მე-16 არმიის ქვედანაყოფების გამოსვლას გარემოცვიდან. სამწყობოა თავდაცვამ ძალი შეფასება მისცა რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის სასწავლებლის მეთაურთა და კურსანტთა საბრძოლო დამსახურებას. 53 კურსანტი და 30 ოფიცერი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

ჩვენი ჯარების მიერ სოლნეჩნოგორსკის დატოვების შემდეგ მოსკოვის ზონის სამხედრო საბჭომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი, რათა მოსკოვის საცეცხლე პოზიციებიდან მოეხსნათ საშუალო კალიბრის ხაზენტაო ქვემეხების ნაწილი და გამოეყენებინათ ისინი როგორც ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები. უკვე ერთი დღეღამის შემდეგ საშუალო კალიბრის 200 ხაზენტაო ქვემეხმა საბრძოლო ზღუდეები დაიკავა.

ნოემბრის მეორე ნახევარში თავდაცვის მოსკოვის ზონის ძირითად ძალებს თავდაცვა ეკავთ მოსკოვის ზღუდეების გარეთა ნახევარკალზე. ლენინგრადისა და ვოლოკოლამსკის გზატკეცილების მხრიდან მოსკოვის მისადგომებს იფარავდა მოსკოვის მე-3 კომუნისტური დივიზია.

მოსკოვზე ჰიტლერელთა მეორე შეტევის მოგერიებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავდაცვის მოსკოვის ზონის ავიაციამ, რომელსაც მეთაურობდა მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი ნ. ა. სბიტოვი. მან აქტიური საბრძოლო მოქმედება გაიჩაღა ჯერ კიდევ 5 ოქტომბერს მოსკოვის შორეულ მისადგომებზე იუხნოვის რაიონში მოწინააღმდეგის სატანკო დაჯგუფების წინააღმდეგ. შემდგომში მოსკოვის ზონის ავიაცია გადაჰყვადათ ერთი მიმართულებიდან მეორეზე.

განსაკუთრებით ბევრი ძალების გაგზავნა გახდა საჭირო კლინ-სოლნეჩნოგორსკის მიმართულებით. აქ მოწინააღმდეგე გზატკეცილზე გვიტევდა ტანკებისა და მოტორიზებული ქვეითი ჯარების დიდი კოლონებით. თავდაცვის მოსკოვის ზონისა და დასავლეთის ფრონტის ყველა თვითმფრინავი — მოიერიშე, ბომბდამშენი, გამანადგურებელი თვითმფრინავები გადაყვანილ იქნა წინგადამწკრილი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. 25-27 ნოემბერს სოლნეჩნოგორსკ-მოსკოვის გზის თავზე განუწყვეტელი საჰაერო ბრძოლები წარმოებდა. საბჭოთა მეურნიავები გაფრენას ადენდნენ ყოველ ორ-სამ საათში. განსაკუთრებით გამოჩინეს თავი მე-120 გამანადგურებელი პოლკის [illegible] (მეთაური [illegible]) [illegible] (მეთაური [illegible]) [illegible] ბისათვის ორივე [illegible] ფრენდება მიენიჭა. შედეგად მოწინააღმდეგის მოტორიზებულმა კოლონამ, რომელიც სოლნეჩნოგორსკიდან სტაროდალნეეზა და კლუშინოსაკენ მიდიოდა, დიდი ზარალი განიცადა. იძულებული შეიქნა შეეწყვიტა ბრძოლა და უკან დაბრუნდა.

ნოემბრის მხოლოდ უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში მოსკოვის ზონის ავიაციამ დააზიანა დაახლოებით 180 ტანკი, მოსპო 700-ზე მეტი ავტომანქანა. 30 ნოემბერს ღამით ჩვენმა ღამის ბომბდამშენებმა კლინის აეროდრომზე მოსპეს მოწინააღმდეგის 28 თვითმფრინავი და საწვავის საწყობები.

მოსკოვის დაცვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავთ საპაერო თავდაცვის ნაწილებს. 1942 წლის თებერვლამდე დედაქალაქის საპაერო თავდაცვის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო. ჰიტლერელებმა წააგეს მოსკოვისათვის საპაერო ბრძოლა ისევე, როგორც შემდგომ წაგეს ბრძოლა ხმელეთზეც.

ნოემბრის დამლევისათვის მოსკოვზე გერმანელ-ფაშისტთა ჯარების მეორე შეტევა შეწერებულ იქნა 30-40 კილომეტრზე დედაქალაქის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით.

ამ დროისთვის დასავლეთის ფრონტის არმიების ზურგში განლაგებული იყვნენ თავდაცვის მოსკოვის ზონის ჯარები, რომლის გარეთა სარტყელზე იმყოფებოდა 12 მსროლელთა დივიზია, 19 მსროლელთა ბრიგადა, 20 საარტილერიო პოლკი, 8 ცალკე რეაქტიული საარტილერიო დივიზიონი, სხვადასხვა კალიბრის 850 ქვემეხი, 870 ნაღმსატყორცნი, 11 ათასზე მეტი დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი. ჯარების საერთო რიცხვი, რომელსაც ქალაქის ზღუდის თავდაცვითი ზოლები და საყრდენი პუნქტები ეკავთ, საარტილერიო-სატყვიამფრქვევო ბატალიონების ჩათვლელად, შეადგენდა 200 ათასზე მეტ კარგად შეიარაღებულ მეომარს.

კონტრშეტევისათვის მზადება წარმოებდა ჯერ კიდევ ნოემბრის პირველ ნახევარში, დასავლეთის ფრონტზე თვის დასაწყისში ბრძოლაში შეიყვანა რა ახალი შენაერთები, მთავარბანაკმა ყურადღება გაამახვილა თავდაცვის მოსკოვის ზონაში რეზერვების შეგროვებაზე. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებისა და მარშალ ბ. მ. შაპოშნიკოვის თანდასწრებით ი. ბ. სტალინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ეს ძალები გვესაჭიროება „ნახტომისათვის წინ“ და თავდაცვითს ბრძოლებში მათი გამოყენება მიზანშეუწონელიაო. ამასთან მან მოითხოვა, რომ რეზერვების მომზადება წარმოებულიყო უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში. როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ეს მთლიანად იქნა მიღწეული.

ვითარება ჩვენს სასარგებლოდ იქმნებოდა. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მოიგეს თავდაცვითი ბრძოლა. მტრის დაკვრილი დაჯგუფებანი სისხლისგან იყვნენ დაცლილი და შესაძლებლობა აღარ ჰქონდათ განეგრძოთ შეტევა. წითელი არმია მოსკოვთან კონტრშეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდა. ნოემბრის დამლევს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის გენერალ-ლეიტენანტ ა. მ. ვასილევსკის წინადადებით თავდაცვის მოსკოვის ზონის შტაბმა მთავარბანაკს წარუდგინა თავისი მოსაზრებანი მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთით მტრის დაჯგუფების ლიკვიდაციის შესახებ.

29 ნოემბერს ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ა. ი. ლიზიუკოვი მეთაურობდა, გარდაქმნილ იქნა მე-20 არმიად. ამ არმიის შემადგენლობაში შეიყვანა მსროლელთა ბრიგადების გასაძლიერებლად მოსკოვის სამხედრო ოლქის პოლიტაკადემიის სამმართველომ გაგზავნა ოლქის სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის მთელი გამოსაშვები კურსი. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებას გამოსაშვებთა საფრონტო ნაწილებში გაგზავნის შესახებ, რომელიც მოსკოვის სამხედრო ოლქის პოლიტაკადემიის სამმართველოს უფროსმა ბრიგადის კომისარმა ნ. მ. მირონოვმა წაიკითხა, „ვაშას“ ძახილით შეჭდნენ. სულ რაღაც 20 წუთში კურსანტები ბანქანებზე ისხდნენ. განწყობილება საბრძოლო იყო, ზეაწეული. კურსანტებმა ბრძანება ისე მიიღეს, როგორც სასწავლებლისათვის გაწეული ბრძანება ხდება.

წითელი არმიის კონტრშეტევა დასავლეთის მიმართულებით წარმატებით დაიწყო. პირველსავე დღეებში კალინინის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების ჯარებმა მოელი რიგი ძლიერი დარტყმები აგებინეს მტერს, აიძულეს დაეტოვებინა რაღდენიმე ნსხელი დასახლებული პუნქტი.

ნარო-ფომინსკის დაბრალიოვკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს მოსკოვის სასაღო მოლაშქრეთა დივიზიებმა.

43-ე არმიის შემადგენლობაში წარმატებით მოქმედებდა თავდაცვის მოსკოვის ზონის სამხედრო საბჭოს დაცვის ბატალიონმა. 700 კაცისაგან შემდგარმა ბატალიონმა ამოიცანა ნიიდო თბილაშვილი-ბით მალულად შეეღწია მტრის ნაწილების ზურგში, რომლებიც მალოიაროსლავეცის მიმართულებას იცავდნენ და მოეგრა მათთვის უკანასკნელი გზა. ბატალიონმა შეასრულა დავალება.

უსახელოდებელი ვლილი შეიტანეს დიად გამარჯვებაში მოსკოველმა და მოსკოვის ოლქის მშრომელებმა. მათ მიერ აგებულმა თავდაცვის ღოვაისკის ხაზმა დაასუსტა დედაქალაქზე ჰიტლერელთა პირველი შეტევა. წარმოდგენილად მცირე ვადაში მოსკოველებმა შექმნეს თავდაცვის მოსკოვის ზონა — სერიოზული დაბრკოლება მოსკოვზე გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა მეორე შეტევის გზაზე. (აას).

მოსკოვი. 1941 წლის 7 ნოემბერი. წითელ მოედანზე გამართული პარადიდან ჯარები მიდიან ფრონტზე.

ჩაკდესის ფოტოქრონიკა.

# საზღვარგარეთის ჟურნალისტული ფირმების წარმომადგენლები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა საზღვარგარეთის ტურისტული ფირმებისა და სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენელთა კონფერენციის მონაწილეების დიდი ჯგუფი. ეს კონფერენცია მოსკოვში მოიწვია „ინტურისტმა“, რომელიც თანამშრომლობს ამ ფ



ᲐᲯᲐᲠᲐ განთქმულია კურორტებით. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მწვანე კონცხზე, ის მაშინვე გამოიცნობს ამ სურათზე აღბეჭდილ პეიზაჟს. ხშირ ხამწვანეში ჩადგმული ეს ლამაზი თეთრი შენობა სანატორიუმი „აჯარა“, რომელიც მუდამ მზად არის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტის მისაღებად.

ფოტო შ. აფაქიშვილისა.

## ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ ᲧᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲗᲔᲠᲐ�პᲔᲕᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვის საქმეში კურორტული ფაქტორებით მკურნალობამ ეფექტურობით ყველა სხვა სახის სამკურნალო საშუალებებს გადააჭარბა. მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეს ხაუკეთესო საშუალება მშრომელთათვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა.

მსოფლიოში არ არის არც ერთი მხარე, რომელიც ისე უხვად იყოს დაჯილდოებული კურორტებით, როგორც საქართველოა. ამიტომაც უწოდებენ მას კურორტების ქვეყანას. შედარებით მცირე ტერიტორიაზე (70 ათასი კვადრატული კილომეტრი) გვხვდება ხასმელი მინერალური წყლების თითქმის ყველა ქიმიური წარმომადგენელი, როგორიც არის ბორჯომისა და მისი ჯგუფის (ნაბეღლავი, უწერა, ავადხარა), ეხინტუსის ტიპის (ჯავა, ზვარე, ფასანაური), საირმისა და მისი ჯგუფის (ზოვა, მოაში) მინერალური წყლები და სხვ.

ჩვენში ბევრია აგრეთვე საამბაზანო მინერალური წყლები, რომლებსაც წარმატებით იყენებენ გარეგანი მოხმარებისათვის, საკვეყნოდ არის განთქმული კურორტი წყალტუბო. იგი გამორჩეულ უნიკალური ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით და სადღეღამისო დებიტის სიუხვით (18 მილიონი ლიტრი). საუკეთესო მინერალურო-საამბაზანო წყლებით მდიდარია აგრეთვე მენჯი, ცაიში, ზეკარი, სულორი, აბასთუმანი, თბილისი, გორიხვარი, ნუნისი და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 1000-ზე მეტი მინერალური წყალი, რომელთა სადღეღამისო დებიტი 90 მილიონ ლიტრს აჭარბებს, მათ შორის ნახევარზე მეტი თერმული და ჰიპერთერმულია.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია საშუალო და მაღალმთიანი კლიმატური კურორტებითა და საკურორტო ადგილებით, მათ შორის განსაკუთრებით განთქმულია აბასთუმანი, ლიბანი, ცემი, ბაკურიანი, კოჯორი, მანგლისი, შოვი, ბახმარო, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი, მალთაყვა, სოხუმი, გაგრა, ახალი ათონი, ლესელიძე და სხვ.

ადრე საკურორტო რესურსების სამკურნალოდ გამოყენებას ძირითადად საფუძვლად ედო ემპირიული მონაცემები. საკურორტო ფაქტორების მეცნიერული შესწავლა დაიწყო 1928 წლიდან, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შექმნის შემდეგ. განსაკუთრებული უურადღება მიექცა ახალი საკურორტო ადგილების გამოვლინებას, მათს კეთილმოწყობას, მეცნიერული კვლევაძიების შედეგად მიღებული დასკვნები პრაქტიკაში ინერგება. თითქმის ყველა ძირითადი კურორტისათვის შემუშავებულია მკურნალობის მეთოდიკა.

საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან შეიქმნა ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ლაბორატორია, სადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფესორ ა. ბაკურაძის ხელმძღვანელობით შესრულებულ სამეცნიერო შრომებში დადგენილია ზოგიერთი საკურორტო ფაქტორის (მინერალური წყლების) ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი.

ინსტიტუტის კლინიკური და ბიოქიმიური გამოფიზიკების თანამშრომლთა დაკვირვებებით შესწავლილია თბილისის თერმულ-გოგირდოვანი მინერალური წყლის ამბაზანების ეფექტურობა ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე, აგრეთვე ინფექციური და არა სპეციფიკური პოლიარტრიტით, ჰიპერტონიით და გულსისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში.

მთელი რიგი სამეცნიერო შრომებით შესწავლილია ბორჯომის მინერალური წყლის გავლენა საქმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების და სხვა დაავადებათა მკურნალობაზე.

კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის მეცნიერ მუშაკების მიერ დიდი მუშაობაა გაწეული წყალტუბოს მინერალური წყლის სამკურნალო ფაქტორების შესასწავლად და ამის საფუძველზე მკურნალობის მეთოდიკის დასადგენად. უკვე ალიარებულია, რომ წყალტუბოში შეიძლება წარმატებით ვუმკურნალოთ არა მარტო რევმატიზმით დაავადებულებს (როგორც ეს წინათ იყო), არამედ გულსისხლძარღვთა სისტემის თითქმის ყველა სახის სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფებს (გულის მიტრალური მანკები, ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, კარდიოსკლეროზები და სხვა). ამიტომ მას კარდიოლოგიური კურორტი ეწოდა. წყალტუბოს მინერალური წყალი ასევე ეფექტურია სამოძრაო ორგანოების დაავადებით, ქალთა უნაყოფობის და სხვა მრავალი სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფთა მკურნალობისათვის.

ინსტიტუტი და მისი აფხაზეთის ფილიალის მეცნიერ მუშაკები შავი ზღვის სანაპირო კურორტების სამკურნალო ფაქტორების დადგენასა და მკურნალობის მექანიზმების შესწავლაზე მუშაობენ.

საშუალო, მაღალი მთისა და ზღვის სანაპირო კურორტების სამკურნალო თვისებების შესწავლას მიეძღვნა მრავალი შრომა, რომლებშიც დადგენილია შავი ზღვის სანაპირო ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა მკურნალობის უკუჩვენება. დიდი მუშაობაა გაწეული და კვლავ გრძელდება მეცნიერული დაკვირვებანი აგრეთვე მაღალმთიან (აბასთუმანი, ლიბანი, ბახმარო, ბაკურიანი, ცემი, შოვი და სხვა.) ზე. აგრეთვე ინფექციური და არა სპეციფიკური პოლიარტრიტით, ჰიპერტონიით და გულსისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში.

[illegible]

[illegible] ლო [illegible] ველად. ფიზიოთერაპიული პროცედურების თვისებების დასადგენად.

დიდი ღონისძიებებია გატარებული ინსტიტუტის მიდროგეოლოგიური გაწყობილების ხაზით. ახალი ნაბიჯია გადადგმული საკურორტო რესურსების გამოკვლევის, კერძოდ საქართველოს კურორტების კლიმატის შესწავლის საქმეში.

საკურორტო და ფიზიოთერაპიის დარგში შესრულებული სამეცნიერო შრომები სისტემატურად იბეჭდება ინსტიტუტის მიერ გამოცემულ შრომათა კრებულებში და თანდათანობით ინერგება პრაქტიკაში.

კურორტების შემდგომი განვითარების საკითხებს, აგრეთვე ფიზიოთერაპიული დახმარების მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივებს ეძღვნება საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა პირველი გაერთიანებული ყრილობა, რომელიც 31 ოქტომბერს იხსნება თბილისში.

ყრილობა სამ დღეს იმუშავებს და პლენარულ სხდომებზე და სექციებში განიხილავს საკურორტო-სანატორიული და ფიზიოთერაპიული დახმარების, სახსნლძარღვთა დაავადებების, საყურეინსამოძრაო აპარატის, საქმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებათა, მერვეულ, გინეკოლოგიურ და სხვა ავადმყოფობათა მკურნალობის მრავალ საკითხს. განიხილავენ აგრეთვე საქართველოში საკურორტო მეცნიერების შემდგომი განვითარების, რესპუბლიკის მიდრომინერალური და კლიმატური რესურსების მდგომარეობის პრობლემებს და მათი განვითარების პერსპექტივებს.

ხუთ ყრილობის მონაწილენი მოხმენენ და განიხილავენ 115 თეორიულ და პრაქტიკულ მოხსენებასა და ინფორმაციას.

ქართველი მეცნიერების ფორუმის სტუმრები და მონაწილეები ექნებიან ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები.

**დ. ჯავახიშვილი.**

მეცნიერების ღამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

## ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲙᲐᲕᲔᲓᲐᲜ

# ᲒᲐᲠᲔᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲑᲛᲠᲚᲘᲜᲘ, 27 ოქტომბერი (საკუთარი). დღეს ცვიკაუში დამთავრდა რობერტ შუმანის სახელობის IV საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ 19 ქვეყნის ახალგაზრდა ვოკალისტები და პიანისტები.

პიანისტთა შორის პირველი პრემია მიენიჭა საბჭოთა შემსრულებელს ე. ვირსალაძეს. მეორე პრემია მიიღო ხ. ნავასარდიანმა (სსრ კავშირი). ორი მესამე პრემია მიენიჭათ ბულგარელ პიანისტებს ე. ზახარიევასა და რ. პადარევას.

ვოკალისტთა კონკურსში გაიმარჯვა რუმინელმა მომღერალმა ი. პანტემ (ბასი). მეორე და მესამე პრემიები გადაეცათ ურუგვაელ მომღერალ ი. ალბონიკოს (სოპრანო) და ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მომღერალს ი. ჯარტფილს (ბარიტონი). საბატონო დიპლომებით დაჯილდოებულთა შორის არის საბჭოთა მომღერალი ლ. სოკოლენკო (სოპრანო).

## ᲔᲚᲘᲡᲝ ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲔᲡ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲐᲗ დღეს გრძელდებოდა შუმანის სახელობის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი კომპოზიტორის სამშობლოში — ცვიკაუში.

26 ოქტომბერს გაიმართა უკანასკნელი მესამე ტური. მისთვის ჩვეული ტემპერამენტით უკრავდა ᲔᲚᲘᲡᲝ ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲔ. მან ბრწყინვალედ შეასრულა შუმანის საფორტეპიანო კონცერტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. მჭახედა ოვაცია ღირსეული ჭილდო იყო ქართველი პიანისტისათვის. პრესა ერთსულოვნად აღნიშნავდა ვირსალაძის დიდ შემოქმედებითს წარმატებას, ნიჭს, „გასაოცარსა და განუმეორებელს“ უწოდებდა მის გამოსვლებს. ერთ-ერთი ცნობილი შვეიცარელი მუსიკოსი რეცენზიაში წერდა, რომ დიდი ხანია ასეთი შთაგონებით არავის შეუსრულებია შუმანის კონცერტი.

კონკურსის საზეიმო დახურვის დღეს ფიურომ გამოაცხადა ამ შეჯიბრების შედეგები: **ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲝᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲡᲐᲠᲐᲜᲢᲡ, ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ ᲔᲚᲘᲡᲝ ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲔᲡ.**

27 ოქტომბერს გვიან ღამით საქმდესის კორესპონდენტი მ. გაბრიაძე ტელეფონით დაუკავშირდა ქალაქ ცვიკაუში, კონკურსის ლაურეატს ელისო ვირსალაძეს.

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა მან, — მინდა აღვნიშნო, რომ ეს კონკურსი, ძალიან რთული იყო. ეს ათი დღე კონკურსის ყველა მონაწილისათვის მეტად პასუხსაგები და ამავე დროს ხაინტერესო შემოქმედებითი შეჯიბრების დღეები იყო. მუსიკოსთა ამ მეგობრულ ფორუმზე ჩამოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემსრულებელნი და ყოველი ჩვენგანი, რა თქმა უნდა, ცდილობდა რაც შეიძლება კარგად დაეკრა.

ძალიან მახარებს პიანისტ სვეტლანა ნავასარდიანის — ერევნელი სტუდენტის წარმატება, რომელმაც კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა.

რამდენიმე სიტყვაც ვიტყვი პირადად ჩემზე: თითოეული პიანისტისათვის დიდი პატივია პირველი პრემიის დამახასიათებელ ასეთ სერიოზულ შემოქმედებითს შეჯიბრებაში, როგორიც შუმანის სახელობის კონკურსია. ეს კონკურსი სამუდამოდ დამამახსოვრდება, როგორც უალრესად დიდი მოვლენა ჩემი ცხოვრებისა.

ელისო ვირსალაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა თავის პედაგოგებს, მოიკითხა ყველა მეგობარი.

ქართველმა პიანისტმა მიიღო მიწვევა კონცერტები გამართოს ეუგოსლავიაში, გერმანიაში, იტალიაში. იგი მიიწვიეს ბერლინში შუმანის კონცერტის შესასრულებლად.

ელისო ვირსალაძის გამარჯვება საქართველოს მთელი მუსიკალური სკოლის დიდი გამარჯვებაა.

მოსკოვში ხანმოკლე დასვენების შემდეგ ახალგაზრდა პიანისტი კონცერტებს გამართავს პოლონეთში. იგი რამდენჯერმე იყო საგასტროლოდ ამ ქვეყანაში. ამჯერად ელისო ვირსალაძე შეასრულებს ბეთჰოვენის სონატა — „აპასიონატას“, შუმანის „კრაისლერიანას“, პროკოფიევის, ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

ელისო ვირსალაძე მალე ახალი პროგრამით წარსდგება საქართველოს მუსიკის მოყვარულთა წინაშე. იგი ამზადებს კომპოზიტორ ბ. კვერნაძის ნაწარმოებს, რომელსაც სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულებს.

* * *

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** ელისო ვირსალაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲒᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

**ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ** დღეებთან დაკავშირებით მოსკოვში ჩამოსულია საქართველოს ბევრი მუსიკალური კოლექტივი, კომპოზიტორი და პოეტი.

ქართული მუსიკის ერთ-ერთი სალაზო გაიმართა 27 ოქტომბერს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში. შესრულდა ო. თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ (ი. აბაშიძის ლექსების მიხედვით) და ს. ცინცაძის მეორე კონცერტი ჩელოსათვის.

მოსკოვში პირველად აღიერდა განთქმული პალეტის „ღამრთის“ ავტორის ს. ცინცაძის ინსტრუმენტული ნაწარმოები. იგი შესრულა ახალგაზრდა ქართველმა ვიოლონჩელისტმა ე. ფსაკაძემ საკავშირო რადიოსა. და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. დირიჟორობდა ო. დიმიტრიადი.

ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში გამოვიდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა გ. ბაკრაძის ხელმძღვანელობით.

(საკუთარი).

## ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ

**ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ.** (საკ. კორ.). ამ დღეებში რუსთავში გაიმართა მეგობრობის კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობდნენ სტუმრად ჩამოსული მოსკოვისა და თბილისის ესტრადის ცნობილი მსახიობები.

რუსთაველმა მაყურებლმა მოუსმინა ვოკალურ-ინსტრუმენტალურ კვარტეტს „დიეღლოს“ ა. ებრალიძის, გ. ლეონიძის, ს. ბერაძისა და თ. ფანჩოლიძის მონაწილეობით. არანაკლებ საინტერესო იყო სცენაზე ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიოს „ლიდელეს“ გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ბოძიაშვილი, ჯ. ბაღაშვილი და ვ. ტატაშვილი.

მეორე დღეს კონცერტი გამართა მოსკოვის საესტრადო კოლექტივმა რუსულ დამსახურებული და ეუბეკეთის სახალხო არტისტის ილმირა ურაზბაევას მონაწილეობით.

## ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲣᲙᲐᲜᲜᲘᲗᲛᲔᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲗᲔᲠᲐ�პᲔᲕᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვის საქმეში კურორტული ფაქტორებით მკურნალობამ ეფექტურობით ყველა სხვა სახის სამკურნალო საშუალებებს გადააჭარბა. მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეს ხაუკეთესო საშუალება მშრომელთათვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა.

მსოფლიოში არ არის არც ერთი მხარე, რომელიც ისე უხვად იყოს დაჯილდოებული კურორტებით, როგორც საქართველოა. ამიტომაც უწოდებენ მას კურორტების ქვეყანას. შედარებით მცირე ტერიტორიაზე (70 ათასი კვადრატული კილომეტრი) გვხვდება ხასმელი მინერალური წყლების თითქმის ყველა ქიმიური წარმომადგენელი, როგორიც არის ბორჯომისა და მისი ჯგუფის (ნაბეღლავი, უწერა, ავადხარა), ეხინტუსის ტიპის (ჯავა, ზვარე, ფასანაური), საირმისა და მისი ჯგუფის (ზოვა, მოაში) მინერალური წყლები და სხვ.

ჩვენში ბევრია აგრეთვე საამბაზანო მინერალური წყლები, რომლებსაც წარმატებით იყენებენ გარეგანი მოხმარებისათვის, საკვეყნოდ არის განთქმული კურორტი წყალტუბო. იგი გამორჩეულ უნიკალური ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით და სადღეღამისო დებიტის სიუხვით (18 მილიონი ლიტრი). საუკეთესო მინერალურო-საამბაზანო წყლებით მდიდარია აგრეთვე მენჯი, ცაიში, ზეკარი, სულორი, აბასთუმანი, თბილისი, გორიხვარი, ნუნისი და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 1000-ზე მეტი მინერალური წყალი, რომელთა სადღეღამისო დებიტი 90 მილიონ ლიტრს აჭარბებს, მათ შორის ნახევარზე მეტი თერმული და ჰიპერთერმულია.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია საშუალო და მაღალმთიანი კლიმატური კურორტებითა და საკურორტო ადგილებით, მათ შორის განსაკუთრებით განთქმულია აბასთუმანი, ლიბანი, ცემი, ბაკურიანი, კოჯორი, მანგლისი, შოვი, ბახმარო, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი, მალთაყვა, სოხუმი, გაგრა, ახალი ათონი, ლესელიძე და სხვ.

ადრე საკურორტო რესურსების სამკურნალოდ გამოყენებას ძირითადად საფუძვლად ედო ემპირიული მონაცემები. საკურორტო ფაქტორების მეცნიერული შესწავლა დაიწყო 1928 წლიდან, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შექმნის შემდეგ. განსაკუთრებული უურადღება მიექცა ახალი საკურორტო ადგილების გამოვლინებას, მათს კეთილმოწყობას, მეცნიერული კვლევაძიების შედეგად მიღებული დასკვნები პრაქტიკაში ინერგება. თითქმის ყველა ძირითადი კურორტისათვის შემუშავებულია მკურნალობის მეთოდიკა.

საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან შეიქმნა ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ლაბორატორია, სადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფესორ ა. ბაკურაძის ხელმძღვანელობით შესრულებულ სამეცნიერო შრომებში დადგენილია ზოგიერთი საკურორტო ფაქტორის (მინერალური წყლების) ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი.

ინსტიტუტის კლინიკური და ბიოქიმიური გამოფიზიკების თანამშრომლთა დაკვირვებებით შესწავლილია თბილისის თერმულ-გოგირდოვანი მინერალური წყლის ამბაზნების ეფექტურობა ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე, აგრეთვე ინფექციური და არა სპეციფიკური პოლიარტრიტით, ჰიპერტონიით და გულსისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადებებით შეპყრობილ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში.

მთელი რიგი სამეცნიერო შრომებით შესწავლილია ბორჯომის მინერალური წყლის გავლენა საქმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების და სხვა დაავადებათა მკურნალობაზე.

კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის მეცნიერ მუშაკების მიერ დიდი მუშაობაა გაწეული წყალტუბოს მინერალური წყლის სამკურნალო ფაქტორების შესასწავლად და ამის საფუძველზე მკურნალობის მეთოდიკის დასადგენად. უკვე ალიარებულია, რომ წყალტუბოში შეიძლება წარმატებით ვუმკურნალოთ არა მარტო რევმატიზმით დაავადებულებს (როგორც ეს წინათ იყო), არამედ გულსისხლძარღვთა სისტემის თითქმის ყველა სახის სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფებს (გულის მიტრალური მანკები, ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, კარდიოსკლეროზები და სხვა). ამიტომ მას კარდიოლოგიური კურორტი ეწოდა. წყალტუბოს მინერალური წყალი ასევე ეფექტურია სამოძრაო ორგანოების დაავადებით, ქალთა უნაყოფობის და სხვა მრავალი სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფთა მკურნალობისათვის.

ინსტიტუტი და მისი აფხაზეთის ფილიალის მეცნიერ მუშაკები შავი ზღვის სანაპირო კურორტების სამკურნალო ფაქტორების დადგენასა და მკურნალობის მექანიზმების შესწავლაზე მუშაობენ.

საშუალო, მაღალი მთისა და ზღვის სანაპირო კურორტების სამკურნალო თვისებების შესწავლას მიეძღვნა მრავალი შრომა, რომლებშიც დადგენილია შავი ზღვის სანაპირო ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა მკურნალობის უკუჩვენება. დიდი მუშაობაა გაწეული და კვლავ გრძელდება მეცნიერული დაკვირვებანი აგრეთვე მაღალმთიან (აბასთუმანი, ლიბანი, ბახმარო, ბაკურიანი, ცემი, შოვი და სხვა.) [illegible] ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ [illegible] ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ